აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 30

4 სექტემბერი 2012 წელი ქ. ბათუმი

უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

პოლიტიკური გაერთიანების „ახალი მემარჯვენეები“ პარტიული სიით წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი (პარტიული სიის რიგით №20) ნელი ჩაჩუა-აბაშიძე იმავდროულად შეყვანილია უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური მოძრაობის „სამართლიანი საქართველოსთვის“ პარტიულ სიაში და ერთდროულად არსებობს მისი თანხმობა ორივე პარტიულ სიაში შეყვანის თაობაზე, რის გამოც უარი უნდა ეთქვას საარჩევნო რეგისტრაციაში გატარებაზე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვადგენ**:

1. უარი ეთქვას რეგისტრაციაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის, პოლიტიკური გაერთიანების „ახალი მემარჯვენეები“ პარტიული სიით წარდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს (პარტიული სიის რიგით №20) ნელი ჩაჩუა-აბაშიძეს.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე